

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

2023 წელი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის, ასევე, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებსა და კრიტერიუმებს;

1.2. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული განვითარების შეფასება ხელს უწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე.

2. აკადემიური / მოწვეული პერსონალის შეფასების მიზანი [1]

2.1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის შეფასების მიზნებია:

- აკადემიური პერსონალის მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილის შეფასება;
- სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა;
- უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ინდივიდუალური პროფესიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავების უზრუნველყოფა;
- პერსონალის შესაძლებლობების გამოვლინება და მათი მხარდაჭერა შემდგომი განვითარებისათვის;
- პერსონალის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის მხარდაჭერა.

3. შეფასების მეთოდები და პროცედურები

3.1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება ფორმალური გზით, განსაზღვრული პერიოდულობით, წინასწარ შერჩეული ინსტრუმენტით.
3.2. შეფასების ინსტრუმენტია სისტემატიზებული შეფასების კითხვარები, რომელიც მიმართულია შესრულებული აქტივობების ხარისხისა და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გასაუმჯობესებლად. ასევე, პერსონალის შესაძლებლობების გამოსავლენად და მათ მხარდასაჭერად, შემდგომი განვითარებისთვის.

---

[1] აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესი დაფუძნებულია უსდ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

3.3. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტებით:[2]

- აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში (თვითშეფასება);
- აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- აკადემიური პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ[3]***;***
- მოწვეული პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ.

3.2. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმღვანელისა და სტუდენტის მიერ აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომელიც დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს ხარისხის უზრუნელყოფის სამსახურს შეფასების შედეგების საბოლოო ანალიზისა და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის მიზნით.

3.3. აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიშის (თვითშეფასების) პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც თავის მხრივ შედეგებს აცნობს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

3.4. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/ მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ეგზავნება შესაბამისი ფაკულტეტებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურსა და კვლევების ხელშეწყობის ცენტრს.

4. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულები

4.1. უნივერსიტეტის აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა (მათ შორის, აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა) უნდა განახორციელოს წინამდებარე წესით დადგენილი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და მთელი აკადემიური წლის განმავლობაში უნდა დააგროვოს ქულათა ზღვრული რაოდენობა:

- აკადემიური პერსონალის წლიური ანგარიში **(**თვითშეფასება**) –**
  პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 80 ქულა;
  ასოცირებული პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 75 ქულა;
  ასისტენტ-პროფესორისთვის - ჯამურად მინიმუმ 60 ქულა;
  ასისტენტისთვის - ჯამურად მინიმუმ 45 ქულა;
- აფილირებული აკადემიური პერსონალის შეფასება დეკანის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60 % - ისა;
- აკადემიური პერსონალის შეფასება დეკანის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 55 % - ისა;
- მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50% - ისა;

---

[2] შეფასების დანართები ამ წესის განუყოფელი ნაწილია.

[3] სტუდენტთა მიერ პერსონალის შეფასება კონფიდენციალურია.

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 60% - ისა;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ - მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 70% - ისა.

5. შეფასების პროცესის პერიოდულობა

5.1. აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ანგარიში ივსება ერთხელ, ყოველი წლის დასასრულს.
5.2. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება ფაკულტეტის დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება ყოველსემესტრულად.
5.3. აკადემიური/აფილირებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ ხორციელდება ყოველსემესტრულად.

6. საქმიანობის შეფასების შედეგების მართვა

6.1. საქმიანობის შეფასების შედეგების მართვის, მასზე უკუკავშირის მიზანია უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სწავლებისა და კვლევის ხარისხი პროფესორ-მასწავლებელთა თანამონაწილეობით, ხელი შეეწყოს ამ მხრივ განვითარების პროცესს და შედეგად წარმატებით განხორციელდეს უსდ-ს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევა.
6.2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესის შედეგების დამუშავებას, შეჯამებული შედეგების ფაკულტეტებისთვის და ინდივიდუალურად პერსონალისთვის გაცნობას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მითითების საფუძველზე.
6.3. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულ(ებ)თან, შეფასების შედეგების ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და საჭირო ქმედებების დაგეგმვის მიზნით.
6.4 შეფასების შედეგებზე რეაგირების მიზნით, დაგეგმილი აქტივობების სამოქმედო გეგმას ადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო პერსონალის სამეცნიერო აქტივობების სამოქმედო გეგმას - კვლევების ხელშეწყობის ცენტრი, ხოლო აღნიშნული პროცესის მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
6.5 აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტს შეუძლია გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, ერთჯერადი ფინანსური ჯილდო, ხელფასის მომატება, ტრენინგების, კონფერენციების დაფინანსება და სხვა.
6.6. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო -კვლევითი კომპონენტ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას ეძლევა შესაბამისი რეკომენდაცია. ხოლო ზემოთ აღნიშნული აქტივობების ზედიზედ 2-ჯერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესს განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბძრანებით.
7.2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

შენიშვნა*:* დანართები წარმოადგენენ დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს.

აკადემიური /მოწვეული პერსონალის თვითშეფასება

დანართი N1

სამეცნიერო კვლევითი აქტივობის დასახელება	სამეცნიერო კვლევითი აქტივობის აღწერა	სამეცნიერო კვლევითი აქტივობის განხორციელების თარიღი	სამეცნიერო საქმიანობისთვის განკუთვნილი ქულა	პერსონალის მიერ დაგროვებული ქულა (ივსება კომისიის მიერ)
სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება შემდეგი კატეგორიის ჟურნალებში: ტომსონ როიტერსის ბაზაში (Web of Science) ინდექსირებული ჟურანლები იმპაქტ-ფაქტორის (IF – Impact Factor) და სამეცნიერო ციტირების ინდექსის (SCI – Science Citation Index) მაჩვენებლებით; ELSEVIER-ის პუბლიკაციების ბაზასა და Scopus-ის პლატფორმაზე ინდექსირებული ჟურნალები სიმაგოს ჟურნალების რეიტინგის (SJR – SCImago Journal Rank) ინდექსის მაჩვენებლით ან/და ისეთ რეიტინგულ ბაზებში რომელთაც გააჩნიათ რეიტინგის შეფასების ფუნქცია			40 ქულა	
სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება Google Scholar-ის ბაზაში ინდექსირებულ რეფერირებად ჟურნალებში			15 ქულა	
გთთუნ-ის სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება			20 ქულა	
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით გამოსვლა[1]			20 ქულა	
ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით გამოსვლა			10 ქულა	
დაფინანსებული კვლევითი, საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა			50 ქულა	
დაფინანსებულ საგრანტო კვლევით პროექტში მონაწილეობა ძირითადი სამეცნიერო პერსონალის სახით			30 ქულა	
გამოგონება, პატენტი			60 ქულა	
სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის			40 ქულა	

[1] იმ შემთხვევაში თუ პერსონალის საკონფერენციო თემა ასევე იბეჭდება კონფერენციისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში, ჟურნალში და ა.შ. ქულების დაჯამებისას მხედველობაში მიიღება ერთ ერთი აქტივობა უმაღლესი ქულისთვის უპირატეობის მინიჭების პრინციპით

გამოშვება				
ამ ცხრილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალის რედაქტორობა			40 ქულა	
ამ ცხრილის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრობა			20 ქულა	
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომისიის წევრობა			10 ქულა	
ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის სამეცნიერო კომისიის წევრობა			5 ქულა	
სახელმძღვანელოს/მონოგრაფიის რეცენზირება			10 ქულა	
სტუდენტური კონფერენციის ნაშრომის ხელმძღვანელობა			5 ქულა	
სხვა სამეცნიერო აქტივობა			კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება კომისიის მიერ, არაუმეტეს 30 ქულით	

დანართი N2 აფილირებული აკადემიურ/აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალის შეფასება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ

სახელი და გვარი

აკადემიური თანამდებობა

ფაკულტეტი:

შეფასების კრიტერიუმები	ქულები				
პერსონალის კოორდინირებული მუშაობა ფაკულტეტთან	1	2	3	4	5

საბოლოო შეფასება:

დანართი N3 აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ

სახელი და გვარი

აკადემიური თანამდებობა

ფაკულტეტი:

შეფასების კრიტერიუმები	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა
თანამშრომლობა სილაბუსების განახლება/შექმნის ჭრილში					
შუალედური/დასკვნით გამოცდების საკითხების სილაბუსთან შესაბამისობა					
ელექტრონული ან/და სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენება					
მაგისტრანტების ხელმძღვანელობა					
სხვა ტიპის თანამშრომლობა პროგრამის სრულყობის ჭრილში					

საბოლოო შეფასება:

დანართი N4 აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სტუდენტების მიერ

სასწავლო კურსის ორგანიზება:

1.გთხოვთ შეაფასოთ ქვემოთ მოყვანილი საკითხები***:***

შეფასების კრიტერიუმები	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა
სათანადო დროს უთმობს ლექციას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას					
დამოუკიდებელი მუშაობისთვის საკმარისი დროა					
გამოყენებული მეთოდები ადექვატური და ეფექტურია					
სწავლის შედეგები მიღწევადია					
შეფასების სისტემა ობიექტურია					
შუალედური გამოცდის დრო საკმარისია					
დასკვნითი გამოცდის დრო საკმარისია					
შუალედური/დასკვნითი გამოცდის მასალა ადექვატურია სასწავლო კურსთან/განვლილ მასალასთან					

2. გთხოვთ მიმოიხილოთ რას შეცვლიდით სასწავლო კურსში?

3. 5 ქულიანი სისტემით შეაფასეთ რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოყვანილ მოცემულობებს:

შეფასების კრიტერიუმი	1 ქულა	2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა
ლექტორი არ აცდენს ლექციას					
გაცდენის შემთხვევაში ლექტორი წინასწარ ატყობინებს სტუდენტებს					
ლექტორი ახდენს გაცდენილი ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის აღდგენას					
ლექტორი არ აგვიანებს					
ლექტორი კომპეტენტურია					
ლექტორი მომზადებულია ლექციისთვის					
ლექტორი მაღალ დონეზე აცნობს სტუდენტებს სილაბუსს					
ლექტორი ოპტიმალურად გეგმავს ლექციის/სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს					
ლექტორი თანიმდევრულად მიყვება სილაბუსის თემატიკას					
ლექტორი იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს					
ლექტორის ხსნის გასაგებად, მკაფიოდ, ნათლად					
ლექცია ინტერაქციულია					
ლექტორი დროულად ასახავს ქულებს ბაზაში					
ლექტორის იძლევა სასარგებლო უკუკავშირს					
ყველა სტუდენტს შეუძლია დასვას კითხვა					
ლექტორის პასუხები კითხვებზე გასაგებია და ამომწურავი					
ლექტორი დამატებით კონსულტაციას უწევს სტუდნეტებს					
ლექტორი კეთიგანწყობილია სტუდენტების მიმართ					
მაგისტრანტის ხელმძღვანელი კომპეტენტურია, ეხმარება თემის შერჩევასა და სტრუქტურის /გეგმის შემუშავებაში					
მაგისტრანტის ხელმძღვანელი მუდმივად უწევს კონსულტაციას სტუდენტს					
მაგისტრანტის ხელმძღვანელი დროულად იძლევა სასარგებლო უკუკავშირს					

4. რა არის ლექტორის ძლიერი მხარე?

5. რა არის ლექტორის სუსტი მხარე?

საბოლოო შეფასება: